

მულტირელიგიური საქართველო

რელიგიაში მთავარი ღმერთის რწმენაა. უფალი აერთიანებს საზოგადოებას, თუმცა რელიგია ყოფს. დიახ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უფალი რელიგიის მთავარი ავტორი, ჩვენ, საზოგადოებას, გაერთიანებისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ადამიანური გაგება ღვთიური ჭეშმარიტებისა, ანაწილებს მათ სხვადასხვა რწმენისა და რელიგიური აღმსარებლობის ინდივიდუალად.

ყველა რელიგიას თავისი ახსნა გააჩნია და თავისი მიმდევარი ყავს. სწორედ ეს არის მიზეზი, როდესაც ერთი რელიგიის წარმომადგენელი განსხვავებული რწმენის ადამიანს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად ან მორალურად უსწორდება. ამ ნიადაგზე ხშირია რელიგიური კონფლიქტებიც.

კაცობრიობის ისტორიას არაერთი რელიგიური დაპირისპირება ახსოვს: ჯვაროსნული ომების ეპოქა - გლობალური დაპირისპირება ორი მონოთესიტური რელიგიისა - ქრისტიანობისა და ისლამის; ევროპაში პროტესტანტიზმის გავრცელების შემდეგ არსებული „რელიგიური ომები“, რომელმაც მთელი დასავლეთ ევროპის კონტინენტი მოიცვა; ლოკალური ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირებები თანამედროვე მსოფლიოს მრავალ რეგიონში და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი....

უძველესი დროიდან საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობდა რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალების არსებობას, ეს კი განაპირობებდა ჩვენს სახელმწიფოში მრავალი ეთნიკური, თუ რელიგიური უმცირესობების დასახლებასა და განვითარებას.

ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა, რომ საქართველო მულტირელიგიური სახელმწიფოა და ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ერთ კვარდატულ კილომეტრში ქრისტიანული ეკლესიის გვერდით მეჩეთი, სინაგოგა და სომხური სამოციქულო ეკლესია დგას; სადაც შიიტები და სუნიტები ერთ სივრცეში ლოცულობენ, როდესაც სხვა მუსლიმურ ქვეყანაში ამ ორი რელიგიური დაჯგუფების წარმომადგენლებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული. აქ, ამ სივრცეში, შეიძლება იყო ეროვნებით ქართველი, თუმცა სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს ეკუთვნოდეს: მართლმადიდებლურს, კათოლიკურს, მუსლიმურს და სხვა.

რატომ ხდება ასე? შეიძლება ეს კითხვა ყველას გაგვიჩნდეს, მაგრამ პასუხი ერთია: ეს არის ჩვენი ტრადიციების გამოძახილი. ქართულ წარმართულ რელიგიას ქრისტიანობა იმგვარად შეეთვისა და შეერწყა, რომ იგი ეროვნული იდენტობის ნიშნად ვაქციეთ, გავითავისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულება - კაცთმოყვარეობა და ამ ერთ სიტყვაში ჩავატიეთ მთელი სამყარო.

ისტორიულად საქართველოში მშვიდობით მოსულ არც ერთ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს არ განუცდია დევნა და შევიწროვება. ამის ნათელი დასტურია

ებრაული თემი, რომელმაც ჯერ კიდევ ძველი წელთაღწრიცხვის მე-7 საუკუნეში დაიდო ბინა საქართველოში და ათასწლეულები ადასრულებდა საკუთარ რელიგიურ რიტუალებს, მისდევდა ტრადიციებს მაშინ, როდესაც ევროპაში მასობრივად იდევნებოდა ყველა ებრაელი. უნიკალური მაგალითია ქართველთა და მუსლიმთა თანაცხოვრება არაბობის პერიოდში. თბილისი არაბული კულტურისა და ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო VIII-X საუკუნეებში, ხოლო დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, როდესაც მეფემ ქალაქი აიღო, აქ მცხოვრებ მუსლიმებს იმგვარი პრივილეგიები მიანიჭა, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში არც ერთ მუსლიმურ ქვეყანაშიც კი არ ქონდათ მოქალაქეებს. მეფე მეჩეთში მუსლიმ საზოგადოებასთან ერთად განიხილავდა და კითხულობდა ყურანს.

ქართული კულტურა თავისი არსით გლობალურ, მულტიკულტურულ და მულტირელიგიურ ღირებულებებს იზიარებს და ეფუძნება. ამის მაგალითია შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, ჩემი აზრით, მსოფლიო გლობალიზაციის სახელმძღვანელოა და, რომელიც ქართული პოეზიისა და აზროვნების საუნჯეა. ამ პოემაში გეოგრაფიული სივრცე იტევს ყველა აღმსარებლობის, განსხვავებული კულტურისა და შეხედულების ადამიანებს. პოემის გმირები ქრისტიანები, მუსლიმები და, თქვენ წარმოიდგინეთ, წარმართებიც კი არიან, თუმცა მათი საერთო სულისკვეთება ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე დგას და ეს იდეალებია: სიყვარული, კაცთმოყვარეობა, პატრიოტიზმი, მეგობრობა....

და ბოლოს, რა არის ჩვენი დღევანდელი საზოგადოების გამოწვევა? ვიზიარებთ კი იმ ისტორიულ გამოცდილებას, რომელმაც საუკუნეები გამოგვატარა ჩვენი მრავალფეროვნებით? როგორ ვაფასებთ ისტორიულ წარსულსა და როგორ ვახდენთ მულტიკულტურულ და მულტირელიგიურ გარემოში ინტეგრაციას? - ეს არის ის დიდი გამოწვევა, რომელიც დღევანდელი და, ალბათ, მომავალი თაობების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. დღეს არის სირთულეები, გვიჭირს ვაღიაროთ და დავიცვათ მრავალფეროვან გარემოში ინდივიდის, პიროვნების რწმენის პატივიცსემა და თავისუფლება, თუმცა დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბება არის პროცესი, რომელიც განათლებასა და ინტელექტუალურ განვითარებაზე დგას.

ვატო მამფორია
„ახალი ქართული გიმნაზიის“
მე-11 კლასის მოსწავლე